

186
~~1970~~
L

საქართველოს
სსრკ მეცნიერებათა
აკადემია

3



საქართველოს სსრ მთავრობის ღარბენიღებათა კრებუნი

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1972 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1972 წ.

შ ი ნ ა ბ რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს დადგენილებები

- 107. მეცხოველეობისა და საკვების წარმოების დარგის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
- 108. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 25 ივლისის № 549 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
- 109. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 23 დეკემბრის № 2062 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
- 110. სსრ კვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს № 588 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 111. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 2062 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

კ. მარჯვის ს.ხ. საქ. სსრ
დადგენილების
ნაწილობრივი რეკონსტრუქციის
ბი. ლიოთაძე

12003

112. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 სექტემბრის № 632 დადგენილებების მე-7 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
113. კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ.
114. კოლმეურნეობის წევრებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის საინფორმაციო დებულების დამტკიცების შესახებ.
115. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ნოემბრის № 633 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.
116. იმ კულტურტექნიკური, მიწის სამუშაოებისა და მცენარეთა დაცვის სამუშაოების ფასდებათა დამტკიცების შესახებ, რომლებსაც „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებები და სპეციალიზებული სადგურები ასრულებენ საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის.
117. მოსახლეობისაგან რძის ნაშენის შესყიდვის ორგანიზაციის შესახებ.
118. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებოთშორისო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
119. თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოებისათვის პროფესორ დ. ვ. ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
120. აღრიცხვისა და ანგარიშების საკითხებზე ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
121. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
122. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
123. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ი. ჭავჭავაძის ხსოვნის უკვდავოების შესახებ.
124. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ა. მესხას ხსოვნის უკვდავოების შესახებ.
125. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 ნოემბრის № 576 დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

107 მეცხოველეობისა და საკვების წარმოების დარგის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა- ბით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების გაფართოებასა და გადიდებას. გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, მოეწყო სპეციალისტთა მომზადება ახალ სპეციალობებში. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან შეიქმნა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 22,9 ათასი ხელმძღვანელი მუშაკიდან და სპეციალისტიდან 14,8 ათასს, ანუ 65 პროცენტს, აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, ნაცვლად 52 პროცენტისა 1965 წელს.

მაგრამ მეცხოველეობისა და საკვებმომპოვების დარგის სპეციალისტების მომზადებისა და ამ სპეციალისტებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ამზადებენ საკვების წარმოების, ხორცისა და რძის ტექნოლოგიის სპეციალისტებს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1020 მთავარი ზოტექნიკოსიდან და ზოტექნიკოსიდან მხოლოდ 609-ს, ანუ 59 პროცენტს, აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 288 მთავარი ვეტერინარი ექიმიდან 25-ს არა აქვს უმაღლესი განათლება, კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმების გაშენება 57 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობების ფერმების გამგეთა 44 პროცენტს არა აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. ჩხოროწყულ რაიონის 18 კოლმეურნეობაში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ სამი ზოტექნიკოსი, ხოლო ბორჯომის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების 23 გამგიდან 22-ს საშუალო სპეციალური განათლებაც კი არა აქვს.

არის ფაქტები, როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და სპეციალისტებად ნიშნავენ სუსტად მომზადებულ და არაკვალიფიციურ მუშაკებს, იჩენენ უპრინციპობასა და ლიბერალიზმს კადრების საკითხთა გადაჭრის დროს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სუსტად მუშაობენ სოფლის მეურნეობის და, კერ-

ძოდ, მეცხოველეობის კადრების შერჩევისა და განაწილების, აგრეთვე მაღალი შეგნებულობისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით მათი აღზრდის საკითხებზე.

ამასთანავე სკკპ XXIV ყრილობის მიერ მეცხოველეობის განვითარებისა და სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანისათვის დასახული ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ ზოოვეტერინარიის სპეციალისტთა მომზადების სისტემის შემდგომ სრულყოფას, ახალ სპეციალობათა და სპეციალიზაციათა შემოღებას მეცხოველეობისა და საკვების წარმოების დარგში, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესებას.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკაში შეინდება და საექსპლუატაციოდ გადაეცემა რძის წარმოების 23 სახელმწიფო, საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო კომპლექსი, 24 ათასი სული ღორისა და 10 ათასი სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელი და გასასუქებელი მსხვილი კომპლექსები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გასასუქებელი 10 სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსი, 98 სახელმწიფო საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფაბრიკა და მეფრინველეობის ფერმა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება მეცხოველეობისა და საკვების წარმოების ყველა დარგის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. დაევალოთ საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვების წარმოების, მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, ამაღლონ შრომის ორგანიზაციის დონე და გააუმჯობესონ ამ სპეციალისტთა შრომის პირობები; გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ 1974-1975 წლებში თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობასთან მოეწყოს საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ტიპის საშუალო ზოოვეტერინარული სასწავლებელი შემდეგი პროფესიებით: ზოოტექნიკა, ვეტერინარია, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასაბუთებული მასალები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შესათანხმებლად თელეთში საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ორგანიზაციის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, დამზადების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ საუკეთესო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, ჯიშისანაშენოები, წისქვილკომბინატები, კომბინირებული საკვების ქარხნები და ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები მიემაგრონ უმაღლეს და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს როგორც ბაზები, სადაც ამ სასწავლებელთა სტუდენტები და მოსწავლეები გაივლიან საწარმოო და სასწავლო პრაქტიკას.

4. „მეცხოველეობისა და საკვების წარმოების დარგის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ნოემბრის № 786 დადგენილების შესასრულებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) გახსნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტთან მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის განყოფილებანი მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინჟინერთა მოსამზადებლად ყოველწლიურად 25 კაცის მიღების კონტინგენტით, აგრეთვე აგრონომიულ ფაკულტეტთან საკვებმომპოვებისა და მემდლეოეობის განყოფილებანი საკვების წარმოების აგრონომთა მოსამზადებლად ყოველწლიურად 25 კაცის მიღების კონტინგენტით;

ბ) გაადიდოს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში სტუდენტთა მიღების კონტინგენტი 50 კაცით, აქედან ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე — 25 და სავეტერინარო ფაკულტეტზე — 25 კაცით რესპუბლიკაში მშენებარე ხორცის, რძისა და ფრინველის წარმოების სახელმწიფო, საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო კომპლექსებისათვის;

გ) გახსნას 1973 წელს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში შემსვლელთათვის მოსამზადებელი განყოფილება 50 კაცის კონტინგენტით;

დ) მოაწყოს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში ზორცისა და ზორცპროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი ყოველწლიურად 50 კაცის მიღების კონტინგენტით, აქედან რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგიის სპეციალიზაცია — 25 კაცისათვის;

ე) გამოუყოს 1973-1975 წლებში საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტს 1,5 მილიონი მანეთი კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის ფერმების თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვისათვის, საწარმოო ნაგებობათა მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე 400 ჰექტარ ფართობზე სარწყავი (დაწვივებით) კულტურული საძოვრების მოწყობისათვის.

5. დაევალოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1973 წლიდან გადაამზადონ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტზე ყოველწლიურად 50-50 სპეციალისტი საკვების წარმოებისა და მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყონ 1973-1974 წლებში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და მათი სასწავლო-საცდელი მეურნეობები მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციისა და საკვების წარმოების მანქანებითა და მოწყობილობით და მომავალში გამოუყონ აღნიშნულ სასწავლებლებს ასეთი მანქანები და მოწყობილობა სერიული წარმოების პირველი პარტიებიდან.

7. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) და საწარმო-კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელობის განმტკიცების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) მმართველთა, კომპლექსურ-საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა და მეცხოველეობის ფერმების გამგეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშნული როგორც წესი, უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა (ფერმების გამგეთა) თანამდებობებზე დანიშნულ სპეციალისტთა შრომა ანაზღაურდეს დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ამასთან აღნიშნულ სპეციალისტთა თანამდებობრივ განაკვეთები (სარგოები) განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) შესაბამის სპეციალისტთათვის განკუთვნილ განაკვეთებზე ნაკლები არ უნდა იყოს.

უფლება მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება დართონ განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) სპეციალისტებს საწარმოო ბრიგა-

დების ბრიგადირთა (ფერმების გამგეთა) თანამდებობების შეთავსება იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული თანამდებობები გათვალისწინებულია დადგენილი წესით დამტკიცებულ მეურნეობის შტატებში.

ბრიგადირთა თანამდებობების შემთავსებელ სპეციალისტებს გადაუხადონ დამატებით შეთავსებული თანამდებობის თანამდებობრივი განაკვეთის (სარგოს) 30 პროცენტამდე ხელფასის ფონდის მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

უფლება მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს შეუნარჩუნონ განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) მმართველთა თანამდებობებზე დადგენილი წესით გადაყვანილ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს თანამდებობრივი განაკვეთები, რომელთაც ისინი იღებდნენ წინანდელ სამუშაოზე, თუ ეს განაკვეთები ახალი თანამდებობის განაკვეთებზე მეტია.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები და დანიშნული არიან განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) მმართველთა, კომპლექსურ-საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა, ფერმების გამგეთა ან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების სხვა საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე, მისცეს კრედიტი სამეურნეო მოწყობისათვის 1000 მანეთამდე 5 წლის ვადით, რომლის დაფარვა დაიწყოს მიღების შემდეგ მესამე წლიდან.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 დეკემბერი, № 619.

106 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 25 ივლისის № 549 დადგენილებაზე დასაყრდენად საკართველო კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგადი დადგენილების ქალაქპარგულად ჩათვლის შესახებ

„სტანდარტიზაციის; საქონლის დანაკლისით და გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგების სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა ბალანსებიდან ჩამოწერის და ზოგიერთ სხვა საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 25 ივლისის № 549 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— 1-6 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 აგვისტოს № 486 დადგენილებისა „რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 ივლისის № 467 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 25 ივლისის № 549 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

— 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები, მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-9, მე-10 პუნქტები, მე-11 პუნქტის მესამე აბზაცი და მე-18 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 დეკემბრის № 1387 დადგენილებისა, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 თებერვლის № 104 დადგენილებით;

— მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-6 და მე-7 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 აპრილის № 452 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობის გარდაქმნის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 ივნისის № 377 დადგენილებით.

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
მდივანი	
ე. შავარდნაძე.	ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 დეკემბერი, № 659.

109 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 23 დეკემბრის № 2062 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის № 688 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია „ტვირთზიდვის წლიური და კვარტალური დაგეგმვის თაობაზე ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 იანვრის № 6 დადგენი-

ლებასთან დაკავშირებით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 23 დეკემბრის № 2062 დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 დეკემბერი, № 660.

110 სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს № 588 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების მიღებასთან დაკავშირებით სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს № 588 დადგენილების თანახმად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს № 588 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 3 სექტემბრის № 3258 დადგენილება, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 8 სექტემბრის № 1242 დადგენილებით;

— მე-2, მე-3, მე-5, მე-9 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კვ (ბ) 1952 წლის 8 თებერვლის № 698 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტილის წესდების დარღვევათა ლიკვი-

დაციის ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 26 თებერვლის № 246 დადგენილებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 15 ივლისის № 3181 დადგენილება „1952 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 ივლისის № 1131 დადგენილებით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯამბახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 დეკემბერი, № 661.



და მ ბ კ ი ც ე მ ბ შ ლ ი ა
საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 26 დეკემბრის № 661
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს № 588 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 22 ივნისის № 1161 დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწების და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1939 წ., № 19, მუხ. 74).

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 22 აგვისტოს № 1592 დადგენილება „იმ რაიონების სისის დამტკიცების შესახებ, რომელთა კოლმეურნეობებშიაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი წელიწადში დაწესებულია 60 შრომადღე“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1939 წ., № 20, მუხ. 82).

3. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 მაისის № 86ნ დადგენილებისა „ლიმონისა და ფორთოხლის გასაშენებლად გამოსადეგ მიწებზე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1940 წ., № 12, მუხ. 44).

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 20 დეკემბრის № 2646 დადგენილება „ქართლის რაიონის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1941 წ., № 3, მუხ. 16).

5. მე-5, მე-10, 22-ე, 24-ე, 25-ე პუნქტები, მე-13 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 24 აპრილის № 757 დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ., 1941 წ., № 17, მუხ. 103).

6. მე-4 და მე-13 პუნქტები, 24-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 მარტის № 526 დადგენილებისა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებანი.“

7. I ნაწილის მე-4, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-19, მე-20 პუნქტები, II ნაწილის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, IV ნაწილის მე-5 და მე-7 პუნქტები, V ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტი, VI ნაწილის მე-5 პუნქტი, VII ნაწილის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 აპრილის № 503 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

8. III ნაწილის 1-ლი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 27 მარტის № 263 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 1946 წლის გეგმის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 23 სექტემბრის № 844 დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“.

10. მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტები, მე-15, 36-ე, 57-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მაისის № 590 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის (1949-1951 წლები) შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივნისის № 677 დადგენილება „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო-პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივლისის № 855 დადგენილება „მოსავლის აღების დროს დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 ნოემბრის № 1563 დადგენილება „1950-1951 წლებში კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენსაშენებში მეცხენეობის განვითარების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 22 ივლისის № 927 დადგენილება „მოსავლის აღების დროს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 996 დადგენილება „თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და პურის დამზადების მიზდინარეობის შესახებ“.

16. I ნაწილის მე-4 პუნქტის „ზ“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტები, მე-5 პუნქტი, II ნაწილის მე-14 პუნქტი, III ნაწილის 1-ლი პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 27 ნოემბრის № 1615 დადგენილებითა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1953-1955 წლებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

17. I ნაწილის მე-2, მე-7 პუნქტები, IV ნაწილის მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

18. 1-ლი პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტები, 46-ე, 47-ე, 53-ე პუნქტები, 57-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 58-ე პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

19. 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ივლისის № 406 დადგენილებისა „ყურძნის, ხილისა და კენკრის წარმოება-დამზადების გადიდების შესახებ“.

20. II ნაწილის მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 653 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 აგვისტოს № 805 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

21. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობის ზომების შესახებ“.

კ. მარქსის ს.ს. საქ. სსრ
სახელმწიფო რ.საბჭოთა
ბი. ლიბ. თმბა

12003

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

111 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აპრილის № 766 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„იმ საბუთების ნუსხის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს საერთაო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილების 29-ე პუნქტს დამატოს „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) დოკუმენტები (გამომცემლობათა და სხვა ორგანიზაციათა ცნობები), რომლებიც ადასტურებენ საავტორო ჰონორარის დავალიანებას, რაც ერგებათ ავტორებს ლიტერატურულ, მუსიკალურ და სხვა ნაწარმოებთა გამოცემისა და შექმნისათვის.

სააღსრულებო წარწერათა მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი და მათი ბეჭდით დამოწმებული ცნობა, სადაც მითითებული იქნება დავალიანების თანხა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 2 ნოემბერი, № 564.

112 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 სექტემბრის დადგენილების მე-7 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ტვირთშიდვის წლიური და კვარტალური დაგეგმვის ძირითად დებულებათა დამტკიცებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 27 სექტემბრის № 707 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონის-



ძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 სექტემბრის № 632 დადგენილების მე-7 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 8 ნოემბერი, № 566.

113 კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის შუამდგომლობა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ.

ნება დაერთოს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს თავისი სახსრებიდან ორ წელიწადში ერთხელ გასცეს ორი ფულადი პრემია, თითოეული ათას ზუთასი მანეთის ოდენობით საუკეთესო თეატრალური დადგმის ან საუკეთესო პიესისათვის, რეჟისორული ნამუშევრისათვის, აქტიორული შესრულებისათვის, სპექტაკლის მხატვრული გაფორმებისათვის, აგრეთვე თეატრალური კრიტიკის, თეორიისა და ისტორიის დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 11 ნოემბერი, № 576.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 11 ნოემბრის № 576
დადგენილებით

დ ე ზ უ ლ ე ზ ა

კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ

1. კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიებს — ორი ფულადი პრემია, თითოეული ათას ხუთასი მანეთის ოდენობით — ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ანიჭებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი საუკეთესო თეატრალურ დადგმებს ან ცალკეულ კომპონენტებს (დრამატურგს, რეჟისორს, მსახიობს, თეატრალურ მხატვარს), აგრეთვე თეატრალური კრიტიკის, თეორიისა და ისტორიის დარგში საუკეთესო ნაშრომების ავტორებს.

2. პრემიის მისანიჭებლად კანდიდატურებსა და შრომებს წარადგენენ: შემოქმედებითი ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივები და სხვ.

3. საპრემიოდ წარდგენილ უნდა იქნეს წინა კალენდარულ ორ წელიწადში დადგმული თეატრალური სპექტაკლები და გამოქვეყნებული შრომები.

4. წარდგენილ უნდა იქნეს პიესა, შრომები თეორიისა და ისტორიის დარგში — 3 ეგზემპლარად, სადადგმო მოღვაწეობის ამსახველი აფიშები და პროგრამები და თან უნდა ჰქონდეს დართული წარდგინება, რეცენზიები და შეფასება-დასკვნები.

5. საპრემიოდ მიიღება ისეთი თეატრალური ქმნილებანი, რომელთაც ადრე სხვა სახელობითი პრემია არ ჰქონია მინიჭებული.

6. ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

7. კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიაზე წარდგენილ თეატრალურ ნაწარმოებთა, შრომებისა და გამოკვლევების განხილვისა და შეფასებისათვის იქმნება მუდმივი კომიტეტი, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი.

8. საპრემიო მასალები წარწერით „კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“ წარდგენილ უნდა იქნეს კომიტეტში პრემიის მინიჭებამდე არანაკლებ ოთხი თვისა; მინიჭება ხდება ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს.

9. კომიტეტი ვალდებულია განიხილოს წარდგენილი მასალები და პრემიის კანდიდატები წარუდგინოს პრეზიდიუმს არა უგვიანეს პრემიის მინიჭების წლის 9 მაისისა.

10. შრომები, რომლებიც წარდგენილია პრემიის მოსაპოვებლად, უნდა განხილულ იქნეს პრესაში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

11. პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის სხდომებს იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე და სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.



12. გადაწყვეტილებას პრემიის მინიჭების შესახებ კომიტეტი იღებს ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით და ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

13. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილება კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ ქვეყნდება პრესაში, ცნობის სახით.

14. იმ შემთხვევაში, თუ პრემია მიენიჭება სპექტაკლს ან ავტორთა ჯგუფს, პრემიის თანხის ურთიერთგანაწილების საკითხს წყვეტს კომიტეტი.

15. ფულად ჯილდოსთან ერთად დაჯილდოებულს გადაეცემა აგრეთვე სამკერდე ნიშანი და დიპლომი.

სამკერდე ნიშნის აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წარდგინებით.

16. პრემირებული შრომები თეატრალური კრიტიკის, თეორიისა და ისტორიის დარგში გადაეცემა კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმს.

114 კოლმეურნეობის წევრებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნისა და მიწების წესის სანიშნო დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს მიერ წარმოდგენილი თანდართული სანიშნო დებულება „კოლმეურნეობის წევრებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**

მიღებულია
საქართველოს კოლმეურნეობათა
რესპუბლიკური საბჭოს მიერ
1972 წლის 5 აგვისტოს

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 13 ნოემბრის
№ 578 დადგენილებით

სანიმუშო დებულება

კოლმეურნეობის წევრებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ

1. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დანიშვნის პირობები და წესი

1. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსია (დანამატი კანონის შესაბამისად დანიშნულ პენსიაზე) დაენიშნება ვეტერან კოლმეურნეებს და კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობის ჩამოყალიბების, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში და აქვთ მოცემულ კოლმეურნეობაში უმწიკვლო და უწყვეტი მუშაობის სტაჟი; მამაკაცებს არანაკლებ 25 წლისა, ხოლო ქალებს — არანაკლებ 20 წლისა.

გამონაკლისის სახით საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოს კოლმეურნეობის იმ წევრებსაც, რომლებსაც არა აქვთ მოცემულ მეურნეობაში მუშაობის 25 წლის (20 წლის) სტაჟი, მაგრამ მინიჭებული აქვთ წოდება „დამსახურებული კოლმეურნე“ ან „საპატიო კოლმეურნე“.

2. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსიის (დანამატის) დანიშვნა ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო (რწმუნებულთა) კრების დადგენილებით, კოლმეურნეობის გამგეობისა და იმ საწარმოო ქვედანაყოფის კოლმეურნეთა კრების შუამდგომლობით, რომელშიც მუშაობს პენსიის მთხოვნელი.

3. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსია (დანამატი) ენიშნებათ კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებსაც შეუსრულდათ: მამაკაცებს — 60 წელი, ქალებს — 55 წელი, ან ასაკის მიუხედავად, თუ ისინი არიან პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდები.

4. მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოს გარდაცვლილი პერსონალური პენსიონერის ან პერსონალური პენსიის მიღების უფლების მქონე გარდაცვლილი კოლმეურნის ოჯახის შემდეგ წევრებს:

ა) შვილებს, ძმებს, დებს და შვილიშვილებს, რომელთაც არ მიუღწევიათ 16 წლის ასაკისათვის (მოსწავლეებს — 18 წლის ასაკისათვის), ან ასაკის მიუხედავად, თუ ისინი გახდნენ ინვალიდები 16 წლის ასაკამდე (მოსწავლეები — 18 წლის ასაკამდე).

ბ) ძმებს, დებსა და შვილიშვილებს პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოს, თუ მათ არა ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;

ბ) მამას, დედას, ქმარს (ცოლს)—თუ მათ შეუსრულდათ: მამაკაცებს 60 წელი, ქალებს — 55 წელი, ან გახდნენ I ან II ჯგუფის ინვალიდები.

შვილად ამყვანს უფლება აქვს მიიღოს პენსია მშობლების თანაბრად, ხოლო შვილად აყვანილს — ღვიძლი შვილების თანაბრად.

5. ამ დებულების მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირებს პერსონალური პენსიები ენიშნებათ:

- ა) მამაკაცებს — 60 წლის ასაკის მიღწევისას — სამისდღეშიოდ;
- ბ) ქალებს — 55 წლის ასაკის მიღწევისას — სამისდღეშიოდ;
- გ) I და II ჯგუფის ინვალიდებს — ინვალიდობის პერიოდში;
- დ) არასრულწლოვან ბავშვებს — 16 წლის ასაკის მიღწევამდე (მოსწავლეებს — 18 წლის ასაკამდე).

6. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსიის (დანამატის) ოდენობის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება კოლმეურნეობის ეკონომიური შესაძლებლობისა და პენსიის მოზოგენელი პირის დამსახურების, შრომისუნარის დაკარგვის ხარისხის, მატერიალური უზრუნველყოფის და კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთა რიცხვის გათვალისწინებით.

7. საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსია (დანამატი) უწესდება შემდეგი ოდენობით:

- ა) საპენსიო ასაკს მიღწეულ კოლმეურნეობის წევრებს — 10-დან 30 მანეთამდე;
- ბ) კოლმეურნეობის წევრებს, რომელთაც იგი ენიშნებათ I ან II ჯგუფის ინვალიდობის გამო — 10-დან 20 მანეთამდე;
- გ) მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის ერთ შრომისუნარო წევრზე — 10 მანეთამდე, ორ წევრზე — 10 ან 15 მანეთამდე, სამ და მეტ წევრზე — 15-დან 25 მანეთამდე.

I ზონა — მესტიის, ბოგდანოვის, ყაზბეგის, ლენტეხის, თიანეთის, ონის, ბორჯომის, ქედის, შუაბეგის, ხულოს, ლენინგორის, დუშეთის, ადიგენის, ასპინძის, ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ორჯონიძის, ამბროლაურის, ცაგერის, წალკის, კასპის, ახალციხის, სოხუმის, ახალქალაქის, დმანისის, საჩხერის, წყალტუბოს, ქობულეთის, მცხეთის, ახმეტის, ჩოხატაურის, გუდაუთის რაიონები, ქ. ქიათურა, ქ. ტყიბული.

II ზონა — წალენჯიხის, გულრიფშის, გაგრის, გორის, ხაშურის, საგარეოს, ზესტაფონის, ვანის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, გეგეკუორის, წულეუკის, თერჯოლის, შიდაკოვსკის, შახარაძის, ჩხორიწყუს, თელავის, სამტრედიის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ყვარლის, გურჯაანის, ბიზის, ბოლნისის, ქარელის რაიონები, ქ. ფოთი.

III ზონა — ზუგდიდის, ცხაკაიას, გალის, ოჩამჩირის, ლავოდეხის, ხელვაჩაურის, აბაშის, მარნეულის, წითელწყაროს რაიონები.

იმ რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც მომსახურებას უწევს „საქსოფლტექნიკის“ მეცხოველეობის სამანქანო სადგური ჩრდილოეთ კავკასიაში, შესრულებული სამუშაოსათვის ანგარიშს ასწორებენ გასაცემი ღირებულების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საწარმოო-სავაჭრო-საფინანსო გეგმით ამ მეცხოველეობის სამანქანო სადგურისათვის.

3. მიწის სამუშაოებისა და მცენარეთა დაცვის სამუშაოების ფასდებათით (№ 19-41), რომლებიც მოთავსებულია II ზონის გრაფაში, უნდა იხელმძღვანელონ აგრეთვე რესპუბლიკის I და III ზონების რაიონებში.

4. ფასდებაში შეტანილია: პირდაპირი დანახარჯები, ზედნადები ხარჯები და გეგმიანი დაგროვებანი 5 პროცენტის ოდენობით.

5. ფასდებაში შეტანილია ღირებულება მანქანების წყევანისა სამუშაო ადგილიდან სამ კილომეტრამდე მანძილზე, ხოლო სამ კილომეტრზე მეტ მანძილზე მანქანის მიყვანისას ფასდებას უნდა დაემატოს სატრანსპორტო ხარჯები ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.

6. როდესაც მუშაობა წარმოებს 10 გრადუსზე მეტი დაქანების მთის ფერდობებზე, ყოველ შემდგომ გრადუსზე კუნძებისა და ზეების ამოძირკვის და მიწის სამუშაოების ფასდება გადიდდეს 2 პროცენტით.



7. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივლისის № 45^ა დადგენილებით იმ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან ზღვის დონიდან 2000-დან 300^ა მეტრამდე სიმაღლეზე მდებარე ადგილებში, დაუწესდათ ზელფასის დამატებით კოეფიციენტი მაღალმთიანობისათვის 1,20-ის ოდენობით, — გადიდდეს ბოგდანოვკის რაიონისათვის დაწესებული ფასდება 10 პროცენტით.

8. დამხმარე მუშებს გამოჰყოფენ მეურნეობები და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებს ანაზღაურებენ ეს მეურნეობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

117 მოსახლეობისაგან რძის ნამეტის შესყიდვის ორგანიზაციის შესახებ

რძის სახელმწიფო რესურსების გადიდების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ფართოდ გაშალოს მოსახლეობისაგან რძის ნამეტის შესყიდვა როგორც მისი უშუალოდ ქარხნებში მიღების, ისევე მათ მიმღებ პუნქტებში მიღების გზით, დაწესებული სახელმწიფო შესასყიდი ფასების შესაბამისად.

2. რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განახორციელონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს და სხვა მოქალაქეებს, რომელთაც პირად საკუთრებაში ჰყავთ ძროხები, სახელმწიფოსათვის რძის ნამეტის მიყიდვაში.

3. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი რძის გადამმუშავებელ საწარმოებს მოსახლეობისაგან რძის ნამეტის გეგმის გარეშე შესყიდვის ორგანიზაციის საქმეში.

4. მოსახლეობის მიერ რძის ნამეტის ჩაბარების სტიმულირების მიზნით მიეყიდოთ ჩამბარებელ მოქალაქეებს კონცენტრირებული საკვები, რომელიც გამოეყოფათ ცეკავშირსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბაზრო ფონდის მიხედვით, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს მისი მიყიდვა ჩაბარებული რძის სრული ღირებულების ოდენობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ საბაზრო ფონდის მიხედვით კონცენტრირებული საკვების განაწილებისას შემდგომში მისი ნაწილი გამოუყონ ცალკეულ რაიონებს რძის ჩამბარებელ მოქალაქეთათვის მისაყიდად, დაწესებული ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად დაადგინონ რძის ჩამბარებელ მოქალაქეთათვის კონცენტრირებული საკვების მიყიდვის წესი.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას უზრუნველყოს რძის გადამმუშავებელ საწარმოებზე ფულის გაცემა რძის ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანოშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 6 დეკემბერი, № 598.

118 ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბორო დახმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
დამტკიცდეს თანდართული დებულება ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანოშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 11 დეკემბერი, № 607.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს შესახებ

1. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭო შექმნილია შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 22 აგვისტოს № 455 დადგენილებისა „ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

2. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭო იქმნება შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და საბჭოს წევრები.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მრეწველობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ორგანოების, სამეცნიერო ორგანიზაციების, პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის წარმომადგენლები.

3. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭო თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე და ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით და ამ დებულებით.

4. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) კოორდინაცია გაუწიოს მუშაობას პროფესიული ორიენტაციისათვის, რომელსაც აწყობენ და ახორციელებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოები, ორგანიზაციები, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სასწავლებლები მუშახელზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით;

ბ) კონტროლი გაუწიოს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გეგმების შესრულებას „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ ყველა ინსტანციაში;

გ) განიხილოს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წინადადებანი და გასცეს დასკვნები მათ გამო;

დ) შეათანხმოს სამეცნიერო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის აქტუალურ პრობლემათა შესწავლის თემატიკა და შეიმუშაოს რეკომენდაციები;



ე) შეიმუშაოს რეკომენდაციები ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის მეთოდისა და ორგანიზაციის საკითხებზე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისათვის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის;

ვ) უზღვევდნენლოს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე მოწყობილ თათბირებს, სემინარებს, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას;

ზ) ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმოს სამინისტროების, უწყებების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, დაწესებულებების, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის და წარუდგინოს მოხსენებანი შედეგების შესახებ საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს უფლება აქვს:

ა) შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებანი ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული შერჩევის საკითხებზე;

ბ) მოისმინოს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ და შეიტანოს თავისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში;

გ) რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ჩააბას მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის თაობაზე ცალკეული თემებისა და საკითხების დამუშავებაში.

6. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს გადაწყვეტილებანი, მიღებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებებისა და ყველა ორგანიზაციის, საწარმოსა და დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

7. ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საბჭოს სხდომები რეკომენდებულია გაიმართოს ყოველკვარტალურად, ხოლო სპეციალური სხდომები — საჭიროების კვლობაზე.

119 თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა საზოგადოებრივი საზოგადოებისათვის პროფესორ დ. ვ. ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება და მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, პროფესორ დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილის სახელი თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 14 დეკემბერი, № 626.

120 აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე ზოგადი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 14 ნოემბრის № 812 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ნოემბრის № 671 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 ოქტომბრის № 1420 დადგენილების — „საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“ — დანართის მე-4 და მე-5 პუნქტები;

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 მარტის № 125 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილების — „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“ — მე-5 პუნქტის მესამე აბზაცი საბჭოთა მეურნეობების წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშგების შემუშავების ნაწილში;



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 იანვრის № 30 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილების — „სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ“ — მე-10 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 25 დეკემბერი, № 631.

121 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

— მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 23 აგვისტოს № 3181 დადგენილებისა „სატვირთო ავტომობილების მუშაობის აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 7 სექტემბრის № 1022 დადგენილებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 ივნისის № 1244 დადგენილება „შრომისუნარიანი კოლმეურნეებისათვის შრომა-დღეების სავალდებულო მინიმუმის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 617 დადგენილებით;

— მე-5 პუნქტი და მე-6 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 თებერვლის № 252 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ კოლმეურნეობათა დაკრედიტების წესის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 19 მარტის № 145 დადგენილებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 აპრილის № 681 დადგენილება „სახელმწიფო ენერგოსისტემებთან, სამრეწველო, კომუნალურ და სასოფლო სახელმწიფო ელექტროსადგურებთან მისაერთებელი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 25 აპრილის № 451 განკარგულებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 17 ივლისის № 976 დადგენილება „მეთევზეთა არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციაში და არტელის საქმეთა მართვაში მეთევზე-კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“. რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 26 ივლისის № 952 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 25 დეკემბერი, № 632.



დამბეჭდილობის
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 25 დეკემბრის № 632
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 ივლისის № 570
დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 2 ოქტომბრის № 1019 დადგენილება „კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა ურთიერთობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1937 წ. № 16, მუხ. 115).

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 9 თებერვლის № 211 დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1939 წ. № 4, მუხ. 21).

3. მე-11 და მე-12 პუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 10 აპრილის № 625 დადგენილებისა „მეცხოველეობის განვითარების 1939 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1939 წ. № 12, მუხ. 51).

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 2 დეკემბრის № 1665 დადგენილება „1944 წელს საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების შესახებ“.

5. მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 6 იანვრის № 12 დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში კარტოფილის მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

6. 1-ლი, მე-8, მე-9 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 1 აგვისტოს № 785 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ „კოლმეურნეობებში აღრიცხვის გაუმჯობესების შესახებ“ მიღებული დადგენილების შესრულების თაობაზე“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ოქტომბრის № 1118 დადგენილება „1947 წლის მოსავლის კარტოფილის აღების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 მაისის № 474 დადგენილება „კოლმეურნეობებში საკვები ძირხვენების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8 ივნისის № 604 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1947 წლის 11 აგვისტოს „კოლმეურნეობათა საკუთარი თესლით უზრუნველყოფის შესახებ“ მიღებული № 843 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 31 აგვისტოს № 981 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წმინდამატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 8 აგვისტოს № 831 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

11. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 337 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საკონდიტრო ფაბრიკების ხილ-კენკროვანი ნედლეულით და არაქისით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 აპრილის № 362 დადგენილება „კოლმეურნეობებში 1950 წლის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის მიმდინარეობის შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 აპრილის № 365 დადგენილება „კოლმეურნეობებისათვის მკედლების, სარაჯების, მეწისქვილეების და სატრანსპორტო ინვენტარის დამამზადებელი ოსტატების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 26 აპრილის № 512 დადგენილება „1950 წელს მატყლის დამზადების გეგმის შესრულებამდე მატყლით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 27 ივნისის № 768 დადგენილება „მეფრინველეობის ფერმების მოწყობისაგან იმ კოლმეურნეობათა განთავისუფლების შესახებ, რომლებსაც მარცვლეული კულტურების უმნიშვნელო ნათესები აქვთ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 18 ივლისის № 883 დადგენილება „კოლმეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების ხაზით მანქანა-ტრაქტორთა სადგურების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 სექტემბრის № 1186 დადგენილება „გამსხვილებულ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1950 წლის გეგმის დადგენისა და პირუტყვის სულადობის მინიმუმის გამორკვევის წესის შესახებ“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 28 აგვისტოს № 1160 დადგენილება „კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა.

19. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 14 ნოემბრის № 1617 დადგენილებისა „1951/1952 წლის ზამთრის სეზონში ბეწვეულის დამზადების შესახებ“.

20. 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 იანვრის № 14 დადგენილებისა „მუშათა ორგანიზებული შეგროვების ჩატარების მოწესრიგების შესახებ“.

21. მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი და მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 აპრილის № 385



დადგენილებისა „ბრუკელოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 თებერვლის № 1053 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“.

22. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის № 1382 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სატყეო და ქალაღდის მრეწველობის სამინისტროს ხაზით 1953 წლის IV კვარტალში ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“.

23. მე-3 და მე-6 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ნოემბრის № 1512 დადგენილებისა „მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ“.

24. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 თებერვლის № 170 დადგენილებისა „სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

25. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 აპრილის № 338 დადგენილებისა „სოფელ ადგილებში კოლმეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების განცხადებების განხილვის წესის შესახებ საკარმიდამო ნაკვეთების ოღენობის შემცირებაზე“.

26. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 3 ივნისის № 481 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხანგრძლივ შესანახად გამოსადეგი ბოსტნეულის გამოყვანის ღონისძიებათა შესახებ“.

27. მე-3 პუნქტის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 28 ოქტომბრის № 986 დადგენილებისა „სახელმწიფო ენერგოსისტემებთან, სამრეწველო და კომუნალურ ელექტროსადგურებთან შეერთებით მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის სამუშაოთა შესრულების შესახებ“.

122 რესპუბლიკური დაკვეთვების კალაქის მშრომელთა დავა- ტატების სახოს აღმასკომის ფასების განყოფილების დავა- ლების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება რესპუბლიკური დაკვეთვების კალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 25 დეკემბერი, № 634.



დამბეჭდილობის
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 25 დეკემბრის № 634
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილების შესახებ

1. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილება თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს და ჩვენს ქვეყანაში ფასწარმოქმნის ორგანოების ერთიანი სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ფასების განყოფილებას პასუხისმგებლობა ეკისრება ქალაქში ფასების დარგში მუშაობის ორგანიზაციისა და მდგომარეობისათვის, აგრეთვე მის მიერ საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასამტკიცებლად წარდგენილი ფასების დასაბუთებულობისათვის.

2. ფასების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) განახორციელოს ქალაქში ფასებისა და ტარიფების დარგში ერთიანი პოლიტიკის შესრულების ღონისძიებანი, სრულყოფს ფასები, უზრუნველყოს ერთნაირი პროდუქციის ფასებისა და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ტარიფების ერთიანობა;

ბ) მოაწადოს პროდუქციის ფასების ეკონომიურად დასაბუთებული პროექტები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

გ) განამტკიცოს სახელმწიფო დისციპლინა ფასებისა და ტარიფების დაწესებაში და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მათ გამოყენებაში, აამაღლოს ფასების დაცვისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობა.

3. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილება დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოთა და განყოფილებათა მონაწილეობით წინადადებებს სახალხო მოხმარების ცალკეულ სახეობათა საქონლის და კომუნალური მომსახურების საცალო (და საჭირო შემთხვევებში საბითუმო) ფასებისა და ტარიფების სრულყოფის შესახებ, რომლებსაც ამტკიცებს საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

ბ) აწესდებს სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების საცალო (და საჭირო შემთხვევებში საბითუმო) ფასებისა და ტარიფების ეკონომიურად დასაბუთებულ პროექტებს, რომლებსაც ამტკიცებს საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

გ) იღებს ზომებს, რათა არ იქნეს დაშვებული ერთი და იგივე პროდუქციის ფასების სიმრავლე, და უზრუნველყოფს ურთიერთშემცვლელი და ერთნაირი პროდუქციის ფასების ერთიანობას;

დ) ამზადებს და წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს იმის შესახებ, რომ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისათვის დამტკიცებული საცალო (და საჭირო შემთხვევებში საბითუმო) ფასების პრეისკურანტები გავრცელდეს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა მიერ გამოშვებულ ანალოგიურ ნაწარმზე.

ე) აწყობს და ახორციელებს კონტროლს პროდუქციის საბითუმო ფასების სწორად დაწესებისა და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ამ ფასების გამოყენებისადმი, სახალხო მოხმარებას საქონლის საცალო ფასების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების, მომსახურების ტარიფების, ფასნაძატებისა და ფასნამოკლების დაცვისადმი, იღებს საჭირო ზომებს ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

შემუშავებს ქალაქში ფასების დარგში საკონტროლო მუშაობის წლიური საკოორდინაციო გეგმის პროექტს, წარუდგენს მას დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომს და აწყობს მის შესრულებას.

შემუშავებს და ახორციელებს სამეურნეო მმართველობის ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ფასებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს, იღებს საჭირო ზომებს ამ დარგში სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

ვ) აცნობებს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და საწარმოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებულ ფასების პრეისკურანტებს და უზრუნველყოფს კონტროლს იმისადმი, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებმა დროულად დაგზავნონ ფასწარმოქმნის ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული საბითუმო და საცალო ფასების პრეისკურანტები და ტერიტორიებისა და მომსახურების ტარიფები;

ზ) აწყობს საცალო და საბითუმო ფასების პრეისკურანტების ბიბლიოთეკის მუშაობას, შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკის მომსახურებით. უზრუნველყოფს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული ფასების სისტემატიზაციას;

თ) კონსულტაციას უწევს ორგანიზაციებსა და საწარმოებს ფასებისა და ტარიფების დადგენისა და გამოყენების წესის საკითხებზე;

ი) მეთოდურ დახმარებას უწევს საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების, ვაჭრობის წესებისა და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ტარიფების დაცვისადმი კონტროლის კომისიას, განაზოგადებს და ავრცელებს მისი მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე იღებს საჭირო ზომებს მისი საქმიანობის აქტივიზაციისათვის;

კ) შეაქვს შესაბამის ორგანოებში წინადადებანი ფასწარმოქმნის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დამტკიცებული ფასებისა და ტარიფების გაუქმების შესახებ.

4. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილებას უფლება აქვს:

ა) მიიღოს დადგენილი წესით საქალაქო სტატისტიკური სამმართველოსაგან სტატისტიკური მონაცემები ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების თვითღირებულებისა და რენტაბელობის შესახებ, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მასალები (მონაცემები თვითღირებულების, რენტაბელობის შესახებ, ტექნიკური პირობები, ნახაზები, ფოტოსურათები, საქონლის ნიმუშები, შემოწმებათა აქტები და ა. შ.), რომლებიც საჭიროა მოქმედი და დასაბრუნებელი ფასების ეკონომიური დასაბუთებულობის შესამოწმებლად, აგრეთვე ახსნა-განმარტებანი ფასების დაწესებისა და გამოყენების საკითხებზე და დასკვნები ფასების პროექტების გამო;

ბ) მიიღოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან პრეისკურანტების პროექტები ფასების ეკონომიური დასაბუთების ამსახველი გაანგარიშებული მასალების თანდართვით, ფასწარმოქმნის ზემდგომი ორგანოების ინსტრუქციების შესაბამისად;

გ) მონაწილეობა მიიღებინოს შემოწმებაში, აგრეთვე პრეისკურანტების პროექტთა შემუშავებაში, კონსულტაციებსა და ფასების პროექტთა ექსპერტიზებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოთა, განყოფილებათა, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს მათთან შეთანხმებით;

დ) მიიღოს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხოს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფასებისა და ტარიფების დამტკიცების ან გამოყენების მოქმედი წესის დარღვევის შედეგად უკანონოდ მიღებული მთელი ამონაგები თანხები.

მასალებს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საქვეუწყებო საწარმოებიდან აღნიშნული თანხების ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხვის შესახებ საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილება უგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს;

ე) შეამოწმოს, თუ როგორ იცავენ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები ფასებისა და ტარიფების სახელმწიფო დისციპლინას.

5. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე ამ დებულებით.

6. ფასების განყოფილების სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამ ტიპებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

ფასების განყოფილებას სათავეში უდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით და შემდგომ ამტიკიებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგი სესია.

7. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოჩახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

123 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ი. ჯაფარიძის ხსოვნის უკვდავოების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ი. ჯაფარიძის ხსოვნის უკვდავოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენს:

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ვაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ლ. ი. ჯაფარიძე ცხოვრობდა.

2. დაევალოს თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს ლ. ი. ჯაფარიძის სახელი თელავის ერთ-ერთ ქუჩას, ხოლო სახლს, სადაც განსვენებული დაიბადა და გაატარა სიყრმის წლები, ვაუკეთოს მემორიალური დაფა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გამოსცეს ლ. ი. ჯაფარიძის შრომები;

ბ) ლ. ი. ჯაფარიძის საფლავზე დადგას განსვენებულის ბიუსტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.



124 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ- დენტის შ. ა. მესხიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ა. მესხიას ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუყეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა შ. ა. მესხია.
2. დაევალოს ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს შ. ა. მესხიას სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.
3. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შ. ა. მესხიას სახელობის ერთი სტიპენდია, უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 დეკემბერი, № 640.

125 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 ნოემბრის № 576 დადგენილების დამატების შესახებ

„კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 ნოემბრის № 576 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები — „სპექტაკლის მხატვრული გაფორმებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „სპექტაკლის მხატვრული და მუსიკალური გაფორმებისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 27 დეკემბერი, № 646

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 за 1972 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-73 წ. ქალაქის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4,

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.